ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-501

"2" მარტი 2017წ.

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანში, V მიკრორაიონში, №11 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.005.253) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 16 თებერვლის №7 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანში V მიკრორაიონში, №11 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.005.253), განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,6, კ2=4,4.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების

საქმის წარმოების ანგარიშვალდებულება №3

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი". TBCBGE22. ანგარიში: GE24TB7002533030100116.) 82 622.4 (ოთხმოცდაორი ათას ექვსასოცდაორი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში, გლდანში, V მიკრორაიონში №11 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.005.158), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 29 ივლისის №1-1390 ბრძანება.

4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

6. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია



საგადასახადო დავალება
Payment Order

0

GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი“

თარიღი / Date: 28/03/2017

გადამხდელი / sender

შპს ნოლა 16, 405158519

რეფერენსი / Ref. Num.

1579965917

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account

GE61TB7113736080100004

თანხა / Amount

82,622.40 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

ს/ს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name

შპს ნოლა 16, 405158519

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხმოცდაორი ათას ექვსას ოცდაორი ლარი 40 თეთრი

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code

405158519

მიმღები / Receiver

ქ.თბილისის მერია

გადარიცხვის საკომისიო
Transfer Fee

0 GEL

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code

GE24TB7002533030100116

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ს/ს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date

28/03/2017

გადახდის დანიშნულება / Operation Details

სპეციალური ზონალური შეთანხმების მოსაკრებელი ბრძანება N: 1-501 ის თანახმად. 02/03/2017 (კოეფიციენტის მოსაკრებელი)

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

ხელმოწერა(ები)
Signatures

Signature

ბ.ა.

მტამპის ადგილი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge